## პროექტის მოკლე მიმოხილვა

| | |
|---|---|
| პროექტის სახელი: | Smart Retail/სმარტ რეტეილ |
| ქვეყანა: | საქართველო |
| პროექტის საიდ. №: | 43795 |
| ბიზნეს სექტორი: | აგრობიზნესი |
| სახელმწიფო/კერძო: | კერძო სექტორი |
| საბჭოს თარიღი: | როცა გამოქვეყნებულია ბანკის ვებგვერდზე, ეს პუნქტი ავტომატურად შეირჩევა DTM-დან. **pmd**–ს ვებგვერდზე გამოქვეყნებამდე გთხოვთ უზრუნველყოთ, რომ DTM იყოს უახლესი |
| სტატუსი: | როცა გამოქვეყნებულია ბანკის ვებგვერდზე, ეს პუნქტი ავტომატურად შეირჩევა DTM-დან. **pmd** –ს ვებგვერდზე გამოქვეყნებამდე გთხოვთ უზრუნველყოთ, რომ DTM იყოს უახლესი |
| **psd** –ს წარმოდგენის თარიღი:<br>**psd** –ს განახლების თარიღი | |
| პროექტის აღწერა და მიზნები: | EBRD განიხილავს 33 მილიონ აშშ დოლარამდე უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტის გაცემას შპს "სმარტ რეტეილი"-სთვის თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში Smart სუპერმარკეტების ქსელის გაფართოების მიზნით. |
| გარდამავალი ეტაპის გავლენა: | პროექტის მიზანია საქართველოში, კერძოდ თბილისსა და მის ფარგლებს გარეთ რეგიონებში, თანამედროვე საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარებას. უფრო მეტიც, Smart მაღაზიის ქსელების გაფართოება სავარაუდოდ უზრუნველყოფს უკუკავშირების დამყარებას ადგილობრივ მიმწოდებლებთან მათთვის ახალი ბიზნეს შესაძლებელობის უზრუნველყოფას და ადგილობრივი კომპანიების სტიმულირებას აწარმოონ ერთგვაროავნი ხარისხის პროდუქტები. და ბოლოს, პროექტი ასევე გააუმჯობესებს კომპანიის კორპორატიული მართვის და ბიზნესის წარმართვის სტანდარტებს, საცალო ვაჭრობის სექტორში მოწინავე ენერგო ეფექტური პროცესების, გარემოს, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სტანდარტების ასევე ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტების დანერგვას. |
| კლიენტი: | Smart Retail არის სურსათის საცალო ვაჭრობის ოპერატორი, რომლის მესაკუთრეები არიან ბ-ნები სამსონ და ლევან ფხაკაძეები |
| EBRD დაფინანსება : | 33 მილიონ აშშ დოლარმდე უზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხი |
| სულ პროექტის ღირებულება: | 56 მილიონი აშშ დოლარი. |
| გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიზაცია, | პროექტს მიენიჭა B კატეგორია EBRD –ის 2008 წელს დამკიცებული გარემოსდაცვისა და სოციალური |

| | |
|---|---|
| გავლენა, და შემსუბუქება: | პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიის კორპორატიული მართვის სისტემებისა და კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაციის, ასევე ობიექტზე ვიზიტებისა და კომპანიის პერსონალთან საუბრების საფუძველზე ბანკის გარემოსა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტმა განახორციელა გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების შემოწმება (ESDD).<br><br>ბანკის მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შემოწმებამ დაადასტურა, რომ კომპანიას აქვს ადეკვატური კორპორატიული სისტემები, რომლის საშუალებითაც ხდება მათ მიერ გარემოს დაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (EHS) საკითხების მართვა, და კომპანიის საქმიანობა როგორც კორპორატიულ, ასევე თითოეული მაღაზიის დონეზე არსებითად შეესაბამება ადგილობრივ გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მარეგულირებელ მოთხოვნებს. ყველა მაღაზიას ჰყავს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვის ინჟინრები და კადრების მმართველი. კომპანიას აქვს საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე მიწოდების მართვის სისტემა და მუდმივად ახორციელებს მიმწოდებლების შემოწმებას, რითაც ხელს უწყობს ამ დარგში მაღალი ხარისხის სტანდარტების დანერგვას და მიმწოდებლების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. თუმცა, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შემოწმებამ ასევე გამოავლინა სამშენებლო საქმიანობებთან დაკავშირებით რამდენიმე ჯანრთელობისა და უსაფრთხოებასთან და ასევე მოქმედ ობიექტებზე არსებული სახანძრო უსაფრთხოების დაკავშირებული რისკები.<br><br>შემუშავდა გარემოს დაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც უნდა შეთანხმდეს კომპანიასთან, და რომლის მიზანია აუცილებელი კორექციული ღონისძიებებისა და სახეცვლილებების დანერგვა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას დაიცვას ქვეყნის მარეგულირებელი და EBRD -ს მიერ შემუშავებული საქმიანობის წესები. კერძოდ, გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმა მოითხოვს, რომ კომპანიამ განახორციელოს მაკორექტირებელი ღონისძიებები რათა მოხდეს მშენებლობის ობიექტებზე გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის და მოქმედ ობიექტებზე სახანძრო უსაფრთოების გაუმჯობესება.<br><br>ბანკი შეამოწმებს კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას და გარემოსდაცვით და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელებას წლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების საშუალებით. |

| | |
|---|---|
| ტექნიკური თანამშრომლობა: | კორპორატიული სექტორისთვის ბანკის რეგიონული ენერგიის გამოყენების ეფექტურობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ენერგო-ეფექტურობის აუდიტი. ეს პროგრამა დაფინანსდა ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, Western Balkans ფონდის, ETC ფონდის, EBRD აქციონერთა სპეციალური ფონდის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, გერმანიისა და იტალიის მიერ.<br><br>უფრო მეტიც, ბაზრის განვითარების, მისი მიმართულებებისა და ზრდის პერსპექტივების შესამოწმებლად განხორციელდა საქართველოში სურსათის საცალო ვაჭრობის სექტორის საბაზრო კვლევა. ეს კვლევა დააფინანსა ადრეული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების (ETC) ფონდმა. მისი დაარსებიდან ადრეული გარდამავალი ეკონომიკის ფონდში მრავალმა დონორმა შეიტანა თავისი წვლილი: ესენია კანადა, ფინეთი, გერმანია, ირლანდია, იაპონია, კორეა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ტაივანი და გაერთიანებული სამეფო. ტექნიკური თანამშრომლობის ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების საკონსულტაციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით იხილეთ:<br><br>procurement of consultants. |
| შესყიდვის ან ტენდერის შესაძლებლობები | იხილეთ EBRD Procurement<br>ინფორმაციის მიღება; ტელ: +44 20 7338 6794;<br>ფაქსი: +44 20 7338 7472<br>Email: procurement@ebrd.com |
| ოგადი ინფორმაცია: | EBRD საპროექტო ინფორმაცია, რომელიც არ უკავშირდება შესყიდვებს:<br>ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380 Email: projectenquiries@ebrd.com<br>Smart Retail<br>ტელ: +(995 32) 2577577 ფაქსი: +(995 32) 2915 255<br>Email:info@smart.ge |
| საჯარო საინფორმაციო პოლიტიკა (PIP) | საჯარო საინფორმაციო პოლიტიკაში მითითებულია როგორ გასცემს EBRD ინფორმაციას და იძლევა კონსულტაციებს დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა გაზარდოს ინფორმირებულობა და უზრუნველყოს მის სტრატეგიაში, პოლიტიკისა და ოპერაციებში გარკვევა.<br>სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ ტექსტი შეიძლება იხილოთ:<br>http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm |
| პროექტის რეკლამაციის მექანიზმი (PCM) | EBRD–მა შეიმუშავა პროექტის რეკლამაციის მექანიზმი (PCM), რათა შესაძლებელი გახდეს ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით ერთი ან მეტი ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის იმ საჩივრების დამოუკიდებელი განხილვა, რომლებმაც გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს ზარალს. |

| | |
|---|---|
| | პროექტის რეკლამაციის მექანიზმის მარეგულირებელი პროცედურული წესები შეიძლება იხილოთ:<br>http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf<br>რუსული ვერსია შეიძლება იხილოთ;:<br>http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf<br><br>პროექტის რეკლამაციის მექანიზმის შესაბამისად ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს EBRD–ის ფონდის ბოლო განაწილების შემდეგ არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში. თუ დარწმუნებული არ ხართ თუ რა პერიოდში უნდა მოხდეს საჩივრის წარმოდგენა დახმარებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის რეკლამაციის მექანიზმის მოხელეს (pcm@ebrd.com) ან შესაბამის EBRD ადგილობრივ ოფისს. |

One Exchange Square, London EC2A 2JN, United Kingdom

Tel: +44 20 7338 6000 Fax: +44 20 7338 6100 http://www.ebrd.com